ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკევობით

№ 7 (63)

21 თებერვალი, პარასკევი, 1992 წ.

„რუსეთის სამხრეთი საზღვრის დამცველი“ მოხალისეების გამო.

ნოდარ ნათაძე

ისინი მოქალაქეთა ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავან. მათი არსებობა და უახლოეს ხანში „სამხრეთ ოსეთში“ ჩასვლა მოსკოვურმა ტელევიზიამ გვამცნო და, მგონი, პრესამაც. დაზუსტებას მნიშვნელობა აღარა აქვს, ვინაიდან მათი ცხინვალში ყოფნა დაადასტურა პოლკოვნიკმა კოჩერგინმა, ცხინვალში მდგარი საბჭოთა კავშირის (ამჟამად კი „სნგ“-ს) შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ბატალიონის ახალმა მეთაურმა. მისი სიტყვით, ისინი არიან თერთმეტნი, უიარაღონი და შვეულმფრენით გადმოყვანილნი არიან ჩრდილოეთიდან ამ ერთი-ორი დღის წინ. არიან პარტიული მოღვაწენი, რა თქმა უნდა — ყველაზე შავრაზმული პარტიების წარმომადგენელნი, ძირითადად ინტელიგენტები, ერთი-ორი განათლებული მუშაც ურევიათ. მიზნად აქვთ, ბატონ პოლკოვნიკის სიტყვით, თავისი თავისა და თავისი პარტიების რეკლამირება, რასაც, ისევ ბატონ პოლკოვნიკის სიტყვით, მიაღწიეს კიდეც ზემოხსენებული განცხადებების შედეგად. თავის შენაერთს ეს ადამიანები უწოდებენ „რუსეთის ეროვნულ ლეგიონს“ და მკლავზე, შესაბამისად, სამი ასო (РНЛ) აქვთ გამოსახული.

საყურადღებოა, რომ რეკლამის საუკეთესო საშუალებად თავის ქვეყანაში ამ პიროვნებებმა ჩათვალეს საქართველოში „რუსეთის სამხრეთ საზღვართა დაცვის“ მისიის აღება თავის თავზე. ეს ნათლად მეტყველებს მათ თანამემამულეთა განწყობილებაზე, ისევე, როგორც წარწერა „РСФСР“, რომელიც ცხინვალიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრით სამხრეთისკენ არის აღმართული ზემოხსენებული ბატალიონის საგუშაგოს ტერიტორიაზე.

მკითხველს ვთხოვ იმსჯელოს: ჩაითვლება თუ არა საქართველოს ხელისუფლად ის, ვინც არ მოსთხოვა სათანადო ნოტით რუსეთის მთავრობას, რომ თავისი შინაგანი ჯარი გაიყვანოს სხვის (კერძოდ, საქართველოს) მთელი მიწა-წყლიდან? გამსახურდიას ადმინისტრაციამ ეს არ გააკეთა. დღევანდელ ხელისუფლებას ამისათვის ჯერ კიდევ დრო აქვს. ეს დრო არ უნდა გადავწიოთ.

„ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!...“

ვიდრე ჩვენ აქ, რუსთაველის პროსპექტზე, უნივერსიტეტის წინ, ვაგზლის მოედანზე, გინა პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, სამთავრობო დარბაზებში თუ ცალკეულ პარტიათა კრებებზე ერთმანეთის დაჭმა- გადასანსლაში ვართ,

ვიდრე ჩვენ აქ ერთურთის ნაკლის ქექვაში, ნიშნის მოგებასა თუ მუშტის მოღერებაში გართულნი ვკლავთ დროსა და პოლიტიკურ, ან თუ ამბიციურ ვნებათა ღელვას,

ვიდრე ჩვენ აქ „მაკაროვებსა“ და „კალაშნიკოვებს“ დავეძებთ, რათა შემდეგ ერთმანეთს ტყვიით შუბლები დავუხვრიტოთ — —

ჩვენი საყვარელი სამშობლო ხელიდან გვეცლება.

სამაჩაბლოელი ქართველები კვლავ დაუცველნი არიან: რუსნი და ოსნი კვლავ აწიოკებენ ჩვენს მიწა-წყალსა და ჩვენს და-ძმათ.

მატერიალურად, სულიერად, იქ უკიდურესად უჭირს ქართველ კაცს. უსასოოდ, უიმედოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილმა ქართველმა დედაკაცებმა ლამის ყველაფერზე აიღონ ხელი, მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი...

გამოფხიზლდით ხალხნო, მთავრობავ,ერო და ბერო.

ჩვენ აქ ისე მწარედ ვერ ვგრძნობთ იმ დიდ ბალღამს, რაც სამაჩაბლოელი კაცის გულში ტრიალებს.

გამოვიღოთ ყურიდან ბამბა და ვიდრე ეს კუთხე მთლიანად არ დაგვიკარგავს, ვუშველოთ სამაჩაბლოს. ვუშველოთ სამაჩაბლოს ყველა საშუალებით...

მეორე გვერდზე წარმოდგენილი ტექსტის მთხრობელები იქაური, ყორნისის რაიონის მცხოვრებნი არიან.

მთხოვეს, ჩვენს გვარებს ნუ გააგზხელთ, სიკვდილისა ჩვენ არ გვეშინია, მაგრამ ოსი „ბოევიკები“ მოხუც დედებს დაგვიხოცავენო.

მთხოვეს, გადაეცით ჩვენს ხელმძღვანელობას, ვიდრე თქვენ სტაბილიზაციისათვის გამიზნულ პოლიტიკურ საშუალებებს ეძებთ, აქ სათითაოდ გვიღებენ ბოლოს, დაიჩქარეთ ჩვენი შველაო.

ერთმა გაღიზიანებულმა, გაჭირვებულმა, სასოწარკვეთილმა ყორნისელმა მწარედ მომახალა: თქვენ აქ თბილ კაბინეტებში ზიხართ და მშვიდად ბჭობთ, ისე მშვიდად, თითქოს სამაჩაბლოს მხოლოდ ჩვენ ვკარგავდეთ და არა თქვენცო. ასეთ შემთხვევაზე თუ სთქვა ვაჟა ფშაველამ —

ჩვენთვის იკარგვის, თქვენთვისაც,
რას დაგიღიათ პირები?
ნუთუ კარგ მამა-პაპასა
არ ჰყვანდეს კარგი შვილები?!
როგორ არ ხედავთ, გზა გეკვრისთ,
გარს შემოგერტყათ თხრილები?
თქვენ ჩაი-ჩუათ არ იკლებთ,
მაღლა გიჭირავთ ცხვირები.

არადა, რა შეგვიძლია, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ. ერთიც ეს არის წყვლა-კრულვიანი საკითხი.

„ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორნი
ვიღაც მესამე ჩადგა ჩვენს შორის“

და ატყდა ეს უბედურება, ბრძოლა, სისხლისღვრა.

რაც უფრო ჩქარა მოაგვარებს იმ მესამის აქედან გასვლის პრობლემას ჩვენი მთავრობა, მით უფრო მალე დამყარდება მშვიდობა სამაჩაბლოში. ეს იქნება დიდი გამარჯვებაცა და მთავრობისადმი ხალხის ნდობის სრული გარანტიც.

ახლა კი გაეცანით ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე დასტამბულ შეჭირვებულ ქართველთა მონათხრობს.

ნოდარ თორელი

დღეს ნომერშია:

საშინელი და მწარე ამბები სამაჩაბლოდან

მე-2 გვ.

აკაკი ბაძრაძე:

ხელისუფლება კი არ არის საქართველოს პატრონი, არამედ ქართველი ხალხი!

მე-4, მე-5, მე-6 გვ.

რუსლან მიქაბერიძე:

რაც შენდა ბევრი დაგიკრანა ტაში...

მე-7, მე-8 გვ.

სიტყვა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთ

მე-3 გვ.

საშინელი და მწარე ამბები სამაჩაბლოდან

დღეს ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ფრონის ხეობაში შექმნილ ვითარებაზე, რომელიც სამაჩაბლოს სხვა. კუთხეებთან შედარებით უფრო ნაკლებად იყო გაშუქებული პრესასა და ტელევიზიაში. ცხინვალთან შედარებით კონფლიქტში მოგვიანებით ჩაერთო ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონი. მართალია, იქ 1989-90 წლების ზამთარში ოსების მიერ მოწყობილ იქნა პიკეტები, სადაც აწარმოებდნენ ქართველების უკანონო ჩხრეკას ვითომცდა იარაღის ამოღების საბაბით, არ უშვებდნენ მათ ქართულ სოფლებში და სხვა. მაგრამ 1990 წლის ზაფხულმა და შემოდგომამ შედარებით მშვიდად ჩაიარა. როგორც შემდგომში გაირკვა, მთელი ეს პერიოდი და წინა წლები ოსებმა იარაღის შეძენას მოანდომეს. ქართველებს კი აზრადაც არ მოსვლიათ ოსების წინააღმდეგ იარაღით მომზადებულიყვნენ. ეტყობა, სხვა ფაქტორებთან ერთად ქართველებზე იმ გარემოებამაც იმოქმედა, რომ ტრადიციულად მათსა და ოსებს შორის დიდი ნათესაური კავშირია. ასე მაგალითად: შერეული ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახების რაოდენობა 40 %-ს აღწევს, ამიტომ ქართველებს ვერ წარმოედგინათ, რომ სიტუაცია ასე გამწვავდებოდა.

კონფლიქტის ახალი, უფრო მძაფრი ეტაპი დაიწყო 1991 წლის იანვრიდან, როცა შინაგან საქმეთა ზნაურის რაიგანყოფილებიდან, მისი უფროსის მოადგილის ჯიოევის ხელშეწყობით, ოსებმა გაიტაცეს 17 საბრძოლო და 45 სასწავლო „კალაშნიკოვის“ ავტომატი, რამოდენიმე შაშხანა, ტყვიამფრქვევი და ტყვიაწამალი. ზემოაღნიშნული იარაღის ამოსაღებად და რაიონში წესრიგის აღსადგენად ზნაურში ორი ავტობუსით შევიდა ქართული მილიცია. არ აწყობდა რა ასეთი ვითარება, ოსების მხარემ სთხოვა ადგილობრივ ქართველებს, რათა მათ უკან გაებრუნებინათ მილიცია, ვინაიდან ჩვენი მხრიდან არავითარი საშიშროება არ არსებობს და მილიციის აქ ყოფნა უფრო დაძაბავს სიტუაციასო.

ქართველები მოტყუვდნენ, დასთანხმდნენ ამ წინადადებაზე და უკან გააბრუნეს მილიცია, რის შედეგადაც აბსოლუტურად დაუცავი აღმოჩნდნენ კარგად შეიარაღებული ოსების პირისპირ. პრაქტიკულად ამის შემდეგ დაიწყო ქართველების მასიური რბევა-დაწიოკება. დარბევაში განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ კვაისიდან, ჯავიდან, ცხინვალიდან და ორჯონიკიძიდან ჩამოსული „ბოევიკები“ უიარაღო ქართველობამ ვერ გაუძლო შეიარაღებული ძალების დაწოლას და დაიწყო რეგიონიდან მათი მასიური წასვლა. რამოდენიმეჯერ იყო ცდა მეზობელი ქართული სოფლების დახმარებით მათი უკან დაბრუნებისა, მაგრამ საქმეში ჩაერია რუსეთის ჯარის ნაწილები და ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. დარბევა, ძალმომრეობა, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა ფრონის ხეობაში. კონფლიქტის შედეგად რეგიონში დაღუპულია 21 ქართველი, მათ შორის 6 ადამიანი ცოცხლად დაწვეს. მრავალი ადამიანი დაიჭრა და დასახიჩრდა. რაიონის 15 ქართული სოფლიდან 13 სასტიკად იქნა დარბეული, რის გამოც ეს სოფლები დაცარიელდა. ლტოლვილთა რაოდენობა შეადგენს 3500 კაცს. ლიახვის ხეობაში ოსებმა დაწვეს 300-ზე მეტი ქართველის სახლი, ხოლო მრავალი სახლი გაძარცვეს, დაშალეს და მასალებად გაზიდეს. ოსებმა მთლიანად გაიტაცეს პირუტყვი, ფრინველი და სხვადასხვა საოჯახო ნივთები. გადაწვეს სკოლები და შეურაცხყვეს ეკლესიები. ასეთ ვანდალურ ოპერაციებში ოსების გარდა მონაწილეობდნენ რუსეთიდან ჩამოსული მოხალისეები და სამხედრო პირები. მათ თითქმის განუწყვეტლივ ცეცხლის ქვეშ ჰყავდათ მეზობლად მდებარე ქარელის რაიონის სოფლებიც: ავლევი, ატოცი, კოდა და სხვა.

რუსებსა და ოსებს შემუშავებული ჰქონდათ ქართული სოფლების აოხრებისა და იქიდან ქართველების გამოძევების შემდეგი გეგმა: სოფელს რუსის ჯარის ნაწილები სამხედრო ტექნიკით შემოარტყამდნენ ალყას, აწარმოებდნენ მოსახლეობის ჩხრეკას და იარაღის ამოღებას. ამის შემდეგ ისინი გადიოდნენ აღნიშნული სოფლიდან, ნიშანს აძლევდნენ შორიახლოს მყოფ ოს „ბოევიკებს“, რომლებიც აწიოკებდნენ აბსოლუტურად დაუცველ სოფლებს.

მაგალითად, 1991 წლის 10 აპრილს, დილის 6 საათზე სოფ. ოქონაში მყოფ მილიციის საგუშაგოს თავს დაესხა კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები 6 ჯავშანტრანსპორტიორით და 3 შვეულფრენით. მათ ალყა შემოარტყეს სოფელს, განაიარაღეს მილიციის მუშაკები, მათ შორის შინაგან საქმეთა ყორნისის რაიგანყოფილების უფროსი იასონ რაჭველიშვილი, რომელმაც შესძლო თავის დაღწევა, ხოლო დანარჩენი 21 თანამშრომელი ტყვედ აიყვანეს. სოფლიდან გამოსვლისას სამხედროებმა ნიშანი მისცეს ჩასაფრებულ ოსებს, რომლებიც შეიარაღებულნი შემოიჭრნენ სოფელში და სასტიკი ამბები ჩაიდინეს: მოკლეს ორი კაცი, გადაწვეს რამოდენიმე საცხოვრებელი სახლი, აბსოლუტურად ყველა ოჯახი გაძარცვეს, განდევნეს ქართველები და თვითონ დაეპატრონენ მათ საცხოვრისს.

ამჟამად სოფელი ოქონა, შეიძლება ითქვას, მიტოვებულ ნასახლარებს წარმოადგენს...

ამას წინათ, საქართველოს პრესა და ტელევიზია შეეცადა შემოეპარებინა ქართული საზოგადოებრიობისათვის აზრი, თითქოსდა სამაჩაბლოში საბჭოთა ჯარის ნაწილები მხოლოდ და მხოლოდ ნეიტრალიტეტს იცავდნენ. ეს არის აბსოლუტური სიცრუე და არ შეეფერება სინამდვილეს. არსებობს უამრავი ფაქტი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ რუსის ჯარი სამაჩაბლოში მოქმედებდა და მოქმედებს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ისინი უსირცხვილოდ დამსჯელ ოპერაციებსაც კი აწყობდნენ ქართველების დასაშინებლად. 1991 წლის ზაფხულში ქარელის რაიონის სოფ. კოდაში შემოიჭრნენ ჯავშანტრანსპორტიორები. ამ დროს სოფლელები მიცვალებულის ცხედარს სასაფლაოსკენ მიაცილებდნენ. რუსებმა ხალხს ალყა შემოარტყეს. ერთ-ერთი ჯავშანტრანსპორტიორიდან გადმოვიდა გალეშილი კაპიტანი და ხალხს ლანძღვა-გინება დაუწყო. ჯავშანმანქანა ისე ახლოს მივიდა ხალხთან, რომ გამსვენებლებს შიშისაგან ხელიდან გაუვარდათ ცხედარი. ოფიცერმა უბრძანა ჯარისკაცებს- “ცეცხლიო“, თან თვალი ჩაუკრა. ჯარისკაცებმა ჰაერში დაიწყეს სროლა. შემდეგ ოფიცერი თითით დაემუქრა სოფლელებს, ჩაჯდა ჯავშანტრანსპორტიორში და უკან გაბრუნდა. წასვლისას კიდევ დიდხანს ისროდნენ. ნასროლმა ტყვიამ განგმირა ქართველი ვაჟკაცი თემურ იარღანაშვილი, რომელიც ცხედარს მიაცილებდა. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გაშლილი სუფრა დაარბიეს... შემდეგ ორი ბავშვი გაიტაცეს საწამებლად და, ცხადია, ფულის გამოსაძალავად. მოსახლეობას სხვა აღარაფერი დარჩენოდა — უიარაღო ქალი და კაცი „ბეტეერებს“ დაუწვა წინ და ბავშვები ამით გადაარჩინეს.

კიდევ ერთი მაგალითი. 1991 წლის შემოდგომაზე ფრონის ხეობის რამდენიმე წარმომადგენლმა თხოვნით მივმართეთ ცხინვალში დისლოცირებული შინაგანი ჯარების სარდალს, პოლკოვნიკ გორელოვს, რათა დახმარება გაეწია, რომ ქართველი ლტოლვილები ქართულ სოფლებში დაგვებრუნებინა. საუბარი მიმდინარეობდა სოფ.მეღვრეკისში და ესწრებოდა ბატონი თენგიზ ეპიტაშვილიც. გორელოვმა ჭოჭმანი დაიწყო, აშკარად აზვიადებდა პრობლემას. ბოლოს მაინც შეგვპირდა, რომ დაგვეხმარებოდა. შეხვედრა დავთქვით 3 დღის შემდეგ, სადაც იგი კონკრეტულ პასუხს გვეტყოდა ჩვენს თხოვნაზე. შეხვედრა მართლაც შედგა, მაგრამ პრობლემა არ გადაწყვეტილა. სარდალმა გაკვირვებით აიჩეჩა მხრები-რა პრობლემა, რის პრობლემაო, გვიპასუხა. აშკარად ეტყობოდა, რომ საერთოდ არ უფიქრია ამ საკითხზე. შემდეგ ტყუილის მოგონება სცადა, „აი ეს ოსი პაპუასები“ წინააღმდეგი არიანო. მაშინ ჩვენ შევახსენეთ, რომ თუ კი ისინი ჩამოსულები არიან მშვიდობის დასამყარებლად, მაშინ რატომ ეკითხებიან ოსებს და ითვალისწინებენ მათ სურვილს და არა ჩვენსას. გაწბილებული იმით რომ ტყუილზე დავიჭირეთ, მან წყენით გვითხრა, „რა გიყოთ, ზემოდან ნაბრძანები გვაქვს ოსებს გავუწიოთ დახმარება. ასე რომ, ნურაფრის ილუზიები ნუ გექნებათო.“

სამაჩაბლოელი ქართველები განცვიფრებული არიან ბატონ თენგიზ ეპიტაშვილის არა ერთი განცხადებით იმის თაობაზე, რომ მას ცხინვალში დისლოცირებულ რუსის ჯარის ნაწილებში თავისი „ავლანელი ძმაკაცები“ ჰყავს და რასაც უნდა, იმას აკეთებინებს ქართველების სასარგებლოდ. თურმე ნუ იტყვით და მოსკოვიდანაც კი სპეციალურად აგზავნიან იმის ნაცნობ ოფიცრებს. სამაჩაბლოს ქართველები არ არიან უმადურნი. ჩვენ ვიცით სიცოცხლის ფასი. ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩებიან ამ მიწა-წყლის დაცვისათვის დაღუპულ გმირთა სახელები. არავის დავუკარგავთ ამაგს, ვინც ამ გაჭირვების დროს დახმარების ხელი გამოგვიწოდა. მაგრამ არ შეიძლება წამდაუწუმ შეახსენო ადამიანს, რომ მისთვის რაღაცას აკეთებ. ეს უკვე დაყვედრებაა. მითუმეტეს, რომ პრობლემების უდიდესი ნაწილი ზუსტად ისევე წყდებოდა, როგორც ზემოაღნიშნულ პოლკოვნიკ გორელოვის შემთხვევაში. რუსეთის არმია საქართველოში არის საოკუპაციო არმია. ის შემოსულია იმისთვის, რომ მოსკოვის მზაკვრული დავალებები შეასრულოს და ამ მისიას იგი არასოდეს გადაუხვევს. დღეს სიტუაცია მთელს სამაჩაბლოში უაღრესად დაძაბულია. როგორც ჩანს მოსკოვმა ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ განახორციელა თავისი გეგმები. სამაჩაბლოს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. გაჭიანურება გამოიწვევს ომის შემდგომ ესკალაციას ოსებსა და ქართველებს შორის. პრობლემა უნდა გადაწყდეს სამართლიანად ერთხელ და სამუდამოდ. ეს რომ ასე მოხდეს, საჭიროა კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების ცოდნა, ეს მიზეზები ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. იმის მცდელობა, რომ ამ კონფლიქტის წარმოქმნა გადაბრალდეს ერთ პიროვნებას ან მთელ ქართველ ერს, წარმოადგენს პრობლემის მიფუჩეჩების, მიჩქმავლის და დაკონსერვების ცდას. ეს არ უნდა აწყობდეს არც ოსებს და არც ქართველებს. ბოლოსდაბოლოს ხომ ადამიანები ვართ და არა ცხოველები: როცა დასჭირდებათ გადაგვკიდონ ერთმანეთს, ხოლო როცა მოისურვებენ, ბოსელში შეგვრეკონ და გვიბრძანონ: „შერიგდით, რადგან მე დღეს უკვე ასე მჭირდებაო“!

ქართული მხარე მზად არის მშვიდობიანი გზით გადაწყდეს ეს კონფლიქტი, ოღონდ, თუ მტკიცედ შესრულდება შემდეგი მისი მოთხოვნები:

1. მოლაპარაკებაში არ უნდა ჩაერიოს მესამე ძალა — რუსეთის წარმომადგენლები.
2. სასწრაფოდ გავიდნენ რუსეთის ჯარები სამაჩაბლოდან.
3. დაჩქარდეს ლტოლვილთა დაბრუნება თავიანთ ფუძეებზე.
4. არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს ოლქის აღდგენაზე.

რაც შეეხება კულტურულ ავტონომიას, ის ოსებს საქართველოში გააჩნიათ და ყოველთვის ექნებათ შესაბამისი გარანტიებიც.

განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს ლტოლვილთა დაბრუნება თავიან მიწა-წყალზე. დღეისთვის, როგორც ქართველ, ისე ოს ლტოლვილთა მდგომარეობა — კატასტროფულია. თუ ისინი გაზაფხულისთვის ვერ შევლენ და ვერ დაამუშავებენ მიწას, მაშინ მათ არავითარი საარსებო წყარო არ ექნებათ.

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ქართველმაც და ოსმაც. მართალია, რუსის ჯარი კვლავ განაგრძობს დესტაბილიზაციის პროცესს საქართველოში, მაგრამ არიან საღად მოაზროვნე ადამიანები როგორც ქართველებს, ისევე ოსებს შორის, რომლებიც იმედს გვაძლევენ, რომ პრობლემა ბოლოსდაბოლოს დადებითად გადაწყდება.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ: პრობლემის უმოკლესი გზაა, რუსის ჯარის გასვლა სამაჩაბლოდან.

ჩვენამდე მოაღწია იმ აზრმა, თითქოს რუსის ჯარის გასვლა მორიგ შეტაკებებს გამოიწვევს ქართველებსა და ოსებს შორის. ეს არ არის მართალი.

ოსი „ბოევიკები“ ჯარის გასვლასთან ერთად იქაურობას მოსცილდებიან, ხოლო მშვიდობიანი ოსი მოსახლეობა თავადაც ნატრობს ამ „ბოევიკებისაგან“ მოსვენებას. ჩვენ ვისთან გვექნება საბრძოლო ასეთ შემთხვევაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსლან მიქაბერიძე:

რაც უნდა ბევრი დაგიკრან ტაში...

— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია დეკემბერ-იანვრის ტრაგედია, რამ მიგვიყვანა აქამდე?

— ამ ამბებამდე, ჩემი აზრით, მიგვიყვანა ჩვენმა პოლიტიკურმა უწიგნურობამ, ჩვენი ზნეობის დღევანდელმა მდგომარეობამ, რაც ძალიან ოსტატურად გამოიყენეს სპეცსამსახურებმა, მოსკოვმა და მედროვე ნაძირალებმა... ყველა ზემოთქმული ფაქტორი იყო მიზეზი, რომ ჩვენ დროზე ვერ გამოვიცანით, რა ძალა დაასვეს თავზე ეროვნულ მოძრაობას. რაც შეეხება მომხდარი ამბების ტექნიკურ მხარეს, გამსახურდიას რეჟიმმა შანსი არ დაუტოვა ოპოზიციას, რომ მშვიდობიანი გზით გაეგრძელებინა ბრძოლა. რამდენი ათასი კაციც არ უნდა მიდგომოდა მთავრობის სასახლეს, იმავე წესით გაფანტავდნენ, დამრბევები დარბევის გემოს კიდევ უფრო გაუგებდნენ, „მოყოყმანე ფენების“ ნაწილიც მთლიანად დიქტატორის მხარეზე გადავიდოდა და ჩვენ აქ რამდენიმე ათეული წლით საკუთარ „ენვერ ხოჯას“ ვიყოლიებდით. ეს ტრაგედია ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი გამთლიანება, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს გონებაში არ მოხდა, არ დაგვცალდა ეს ისტორიულად და ესეც ოსტატურად გამოიყენეს ჩვენმა მტრებმა.

— ზოგიერთი წერს, რომ მიუხედავად ეროვნული მოძრაობის ერთი შეხედვით დიდი აქტიურობისა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, სადაც ვიყავით, ისევ იქ ვართ. თქვენ რას იტყოდით?

— ამჟამად ძალიან ოსტატურად დაგეგმილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუშაო ტარდება ეროვნული მოძრაობის დისკრედიტიზაციისთვის, დაღვრილი სისხლის გაუფასურებისათვის. თავი წამოყვეს იმ ფენებმა, რომლებიც ან სრულად არაფერს აკეთებდნენ იმ დროს, ანდა მტრობდნენ ეროვნულ მოძრაობას. ეს რომ მხოლოდ პოლიტიკური ინტრიგა იყოს, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ ხდება ძალიან მძიმე დანაშაული — უნდათ პატრიოტებში ჩაკლან თავდადება, თავგანწირვა, თუნდაც სამშობლოსათვის ჯვარცმის სურვილი. ამასთან დაკავშირებით ერთ ჩემს ბოლოდროინდელ პაროდიას შემოგთავაზებთ:

სისულელე სისულელეში

(ბატონ გაიოზ ერაძეს)

საერთოდ რომ არ ვფიქრობდი
პაროდიების წერაზე,
იმ დროს გამოჩნდა ეკრანზე
ვინმე გაიოზ ერაძე.
პოლიტიკური მისნობის
თანდაყოლილი ტალანტით,
დაუპერ-გაულახველი
და არც ნაკვები „ბალანდით“.
მოკლეშარვლიან იდეებს
დასცხო, წარბი არ შეხრია.
ალერგიული მოჩანდა
(პარტიებისგან შეყრია).
დამეთანხმებით ამაში
არის რაღაცის სურნელი,
ამ დღეში მყოფს რომ გონია
ყველა მის ირგვლივ სულელი.
ფუჭი ყოფილა ოცნება
თავისუფლების ერაზე,
ვიდრე ნებართვას არ მოგვცემს
წინასწარმეტყველი ერაძე.
ყურს ნუ დაუგდებთ ლიდერებს,
არც გინდათ პოლიტ-პარტია,
აიღეთ ამ მოქალაქის
88 წლის სტატია
და იქ შეიტყობთ, რომ თურმე,
როცა „კავშირი“ იწვოდა,
რის შემდეგ რა მოხდებოდა,
ამ კაცმა უკვე იცოდა.
(ოღონდ ვინ უთხრა, არ ამბობს,
გულჩათხრობილი კაცია,
ანდა ვინც უთხრა, ეტყობა,
აჭვს ცუდი რეპუტაცია).
ხოლო ვინც მტრებმა დაჩეხეს,
ვინც საშიშილოდ სხდებოდა,
სუყველა უჭკუო იყო,
მის გარდა ყველა ცდებოდა.
და აწი მაინც თუ ვიხმართ
მეთოდს ამ ყოვლის მცოდნესი,
არც სისხლი დაგვჭირდება და
არც თავდადება ცოტნესი.
დაველოდებით პროცესებს
რუსეთ-თურქეთ-ლიტვაში,
ამ ვადას გამოვიყენებთ
ერაძის სიბრძნის კითხვაში.
ამასობაში „ბიუ ხალხებს“
ბომბებს და ტყვიებს მისცხებენ,
„ჭკვიან ხალხებს“ კი ისედაც
თავისუფლებას მისცემენ.
ესაა აზრი ერაძის
კოკასა შიგან ჩასხმული,
ცეკას და სუკ-ის დოქტრინა
ახალ სამოსში ჩაცმული.
მე კი მგონია მიზეზი
ჩვენში სისხლის ღვრის, სიმხეცის
ბრალია უზნეობის
და პოლიტიკური სიბეცის.
დღეს ბევრი გააქტიურდა
გუშინ ბუჩქების ხიზანი,
ძალიან უსუფთო ჩანს
მათი აზრების მიზანი.
უნდათ, ის რაც თავს გადაგვხდა
ისეთნაირად დამრგვალდეს,
რომ ზოგ-ზოგების სიბილწე
მთელ მოძრაობას დაბრალდეს.
აქეთკენ არი გათგლილი
შხამის ახალი დოზები,
„უსისხლო თეორიები“
და ბრძენკაკაცული პოზები.
მაგრამ უკვალოდ არ ქრება
ამბები გასაოცარი,
აპრილის ღამის კივილში
სისხლი ქვებს დანახოცები
და თუ კვლავ ფეხზე ადგება
ქვეყანა დანაოსები,
ომს მერაბები იზამენ
და არა გაიოზები.

— რას გვეტყოდით ედუარდ შევარდნაძის შესახებ?

— როდესაც შევარდნაძეზე საუბრობენ, მე ასეთი აზრი მებადება... მისი ბიოგრაფიის წინა პერიოდზე არაფერს ვიტყვი, ყველასთვის ცნობილია... მაგრამ რადგანაც ადამიანი თავისი ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთში ისე იცვლება, როგორც სხვა ყველაფერი ამქვეყნად, და თუ ამ შეცვლილ შევარდნაძეს მონანიების, სამშობლოსათვის მოხმარების დრო დაუდგება (რამდენად გულწრფელია ეს სურვილი, დრო გამოაჩენს), არ მესმის, რატომ უნდა ვკრათ ხელი. არ ვიცი, რამდენად ამხსნელი პარალელია, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ებრაელებმა გერმანელებს ჯარი გააწრთვნევინეს... და ეს კაცი ხომ ჩვენი თვისტომია...

— პოლიტიკური გარემო ბევრმა სახელის საშოვნელ არენად აქცია და ყველანაირი, მათ შორის უზნეო მეთოდებითაც დაიწყო ქულების დაგროვება... ამაზე რას გვეტყვით?

— ხელოვნურად ზნეობრივი ადამიანების მოყვანა პოლიტიკაში შეუძლებელია. როდესაც მონობაში დიდხანს ნაცხოვრები ჩვენი ხალხი პოლიტიკურად მოითელება, უზნეო პოლიტიკოსებს თავისთავად ყავლი გაუვათ. ამიტომ ისინი ჯერ-ჯერობით იბოგინებენ ქაოტურ პოლიტიკაში და დემოკრატია სწორედ იმას ნიშნავს, რომ ყოველდღე და ყოველგან ვამხილოთ ისინი და, პატიოსან და წიგნიერ პოლიტიკოსებს მივცეთ ჩვენი ხმა და არა უბრალოდ „ცნობილ პიროვნებებს“.

— რას ფიქრობთ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური მონარქიის იდეაზე?

— მე საკმაოდ სიმპატიურად ვარ განწყობილი მონარქისტული იდეის მიმართ, მაგრამ რაც ამ მოკლე პერიოდში ჩვენ თავს გადაგვხვდა და მე რაც ვნახე, მაფიქრებინა, რომ ჩვენთვის დღეს მეფე ნაადრევია. მეფეს დამსახურება უნდა, მეფე უნდა დავიმსახუროთ. მე მეშინია, რომ დღევანდელი ჩვენი ცნობიერებისა და ზერელე რელიგიურობის დონეზე ახალი ფეტიში არ შევქმნათ და ქვეყანა ახალმა ფსიქოზმა არ მოიცვას. მოდით, ჩვენ ჯერ დემოკრატიული სტრუქტურები დავამკვიდროთ, ფიზიკური შიმშილი დავიცხროთ და როდესაც სულიერი სიმაღლეები მოგწყურდება, მერე ვიფიქროთ მონარქზე, რომელიც თავს მოუყრის ჩვანს ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ავლა-დიდებას. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს იმის შემდეგ, როცა ხალხის გრძნობა — გონებაში ხელახლა აღდგება (თუ აღდგა) მეფობის იდეა მთელი თავის სიღრმით. ჩვენი ხალხის ფსიქიკას თუ გავითვალისწინებთ, იგი უუფლებო, სიმბოლურ მეფეს არაფრად ჩააგდებს, ხოლო თუ უფლებები უნდა მივცეთ, მაშინ რამდენი უნდა მივცეთ, რომ მოკლე ხანში ის დიქტატორად არ გადაიქცეს. ამას ისტორიკოსების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების ღრმა განსჯა ჭირდება, და ამსათანავე სრულიად საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა. იმიტომ, რომ აქ მეფის ბევრმა არაქართველმა ქვეშევრდომმა უნდა იცხოვროს და ამ ფაქტორს დაუყოვნებლივ გამოიყენებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რომელიც არსად არ წასულა და თავს ჯანმაგრად გრძნობს, ოღონდ კოსტიუმი გამოიცვალა.

— როგორ უნდა მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემები სამაჩაბლოსთან და აფხაზეთთან?

— ჩვენ მივეჩვიეთ პოლიტიკური საკითხების სამიტინგო დონეზე მოგვარებასა და ამ მეთოდის შედეგი სახეზე გვაქვს აფხაზეთშიც და შიდა ქართლშიც. საერთოდ, პოლიტიკაში არსებობს დღესსაკეთებელი, ხვალსაკეთებელი და ჩვენ თუ არ ვისწავლეთ თუნდაც ასი წლის შემდეგ გასაკეთებელი საქმის დღეს გათვლა, რა მოვითმინოთ დღეს, რა დავთმოთ, რომ საქართველოში კვლავ მობრუნდეს ერთაშორის დამოკიდებულების მაღალი კულტურა, რომელიც ჩვენს ხალხს რუსი დამპყრობლების მოსვლამდე აშკარად გააჩნდა და მთელი მომდევნო ხოცვა-ყლეტა სხვა არაფერია, თუ არა ოსტატურად ჩაფიქრებული და განხორციელებული პოლიტიკური დრამა, — ჩვენ წავაგებთ, წავაგებთ უფრო მეტს, ვიდრე დღემდე წავაგეთ. იმიტომ, რომ ხშირად, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას კერძო ინიციატივით, საერთო კონცეფციის გამომუშავების გარეშე, პატარა-პატარა ჯგუფები მოქმედებენ და ხშირად ძალიან ბეცად, რაც უფრო ართულებს საქმეს. არ შეიძლება ტელევიზიით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გამოყვანა და ამ გაუბედურებული ხალხის ემოციებით ზეგავლენისა მოხდენა პოლიტიკური გეზის შემუშავებაზე. ხშირად ილუზირებული მოგება ან დროშის აღმართვისას ანდა მიტინგის ჩატარებისას დიდ დარტყმად უბრუნდება მთელ ამ დიპლომატიურ ძალისხმევას. ასეთი საქმეები კრისტალ-კრისტალ კეთდება და მას კომპეტენცია და დიდი მოთმინება სჭირდება. ჩვენს მეფეებს რომ სწორხაზოვნად ეაზროვნათ და ემოქმედათ, ახლა ჩვენი სახსენებელი არ იქნებოდა. ჩვენ გვიწევდა და მომავალშიც მოგვიწევს რთულ გარემოცვაში ცხოვრება და ისტორიის ღელოს მხოლოდ გონიერებით, სწორი დიპლომატიური აზროვნებით გავიტანთ.

— წინა ხელისუფლების ზეობისას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია მეთორმეტე საუკუნის უამინდელ სააზროვნო მოდელს ვერ გასცდა — ვგულისხმობ წარმართული და ქრისტიანული კონცეფციის სინთეზს, აღ-

(დასასრული მე-8 გვ.)

რაც უნდა ბევრი დაგიკრან ტაში...

(დასაწყისი მე-7 გვ.)

მოსავლეთის და დასავლეთის შერწყმას, ახლა საით უნდა წავიდეთ?

— დაშტამპული აზროვნება ხელოვნებაშიც და პოლიტიკაშიც კრახის გარანტიაა. დღეს რომ კაცი ისევ საქართველოს ძველი მისიით ანდა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ფორმულით ხელმძღვანელობს, მაპატიეთ და, რბილად რომ ვთქვათ, დროს ძალიან ჩამორჩება. დავაკვირდეთ, რა ორიენტაცია აქვთ იაპონელებს, თურქებს და მიხვდებით, რომ ერთი მუდმივი, „მყარი“ ორიენტაცია გონების არაელასტიურობის ნიშანია. რატომღაც გამახსენდა ერთი პასაჟი გრ. რობაქიძის „გველის პერანგიდან“ თბილისზე ტორტმანობს ხომალდი — ქალაქი. წაიწევს ევროპისკენ და მოქაჩავს აზია. მე მგონია, ჩვენ არც „ევროპელები“ ვართ და არც „აზიელები“.

ღვთისა და ისტორიის ნებით ჩვენ ორივე გავლენა განვიცადეთ, ეს ასახულია ჩვენს კულტურაში, ლიტერატურაში, ლექსიკაში. მაგრამ ეს სულაც არ გვავალდებულებს პოლიტიკაში ერთი რომელიმე, „მარტორქული“ მიმართულება ავირჩიოთ და კისრის მოტეხვამდე იქით ვირბინოთ. მსოფლიო გლობალური პოლიტიკის მიხედვით აქცენტი იქით უნდა გავაკეთოთ, საიდანაც ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო სიო დაუბერავს. ასე იქცეოდა საქართველოს ყველა გონიერი მმართველი. აქვე დავძენ: ერთი „მიმართულებით“ შეპყრობილი ხალხის ბრბოდ გადაქცევა უფრო ადვილია და ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ დიქტატორები. ჩვენ ხომ ხან „ქემალისტურ თურქეთს“ ვებრძოდით და ხანაც „მოსკოვის აგენტ“ ბუშს, იმიტომა ვართ ჯერ-ჯერობით ამ დღეში.

— ყოფილი პრეზიდენტის მარდამჭერთა გამო რას ფიქრობთ, როგორ უნდა მოვაგვაროთ მათთან ურთიერთობა დანარჩენებმა?

— იმის იმედი, რომ კერპთაყვანისმცემლები თვისობრივად უცებ შეიცვლებიან, მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს. იმიტომ, რომ ამ დაავადების სათავეები შორიდან მოდის. აქ ხალხი კი არ ტყუის, არამედ ის, ვინც ხალხს ეს დაავადება შეჰყარა. ძალიან შეურაცხყოფად მიიჩნევენ სიტყვა „ბრბოს“, მაგრამ აბა გავიხსენოთ, რომ ბრბოს მდგომარეობაში აღმოჩნდა ისეთი მაღალი ცივილიზაციის მქონე, შრომის მოყვარე ხალხი, როგორიც გერმანელები არიან. აგერ სულ ახლახანს, ინგლისისა და ბელგიის საფეხბურთო მატჩის დროს გულშემატკივრებმა 122 კაცი იმსხვერპლეს. ე. ი. ამ დაავადებას გეოგრაფია არა აქვს. ღვთაებრივი და სატანური ადამიანში მარადიულად იბრძვის. და როგორც კი ადამიანი ღმერთსა და ეშმაკს შორის ჩააყენებს ან პრეზიდენტს, ან ფიურერს, ან მარადონას, აუცილებლად სატანას გაახარებს. აი, ეს დაგვემართა ჩვენ. და ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი სიამაყის(რომელსაც, ჩემის აზრით, საფუძველი საკმაოდ გამოცლილი აქვს) გამო, ახლა შეცდომების აღიარება გვიჭირს და ინერციით ვაგრძელებთ დამუპველ დაპირისპირებას. ჩვენ ერთად უნდა ვიპოვოთ დაავადების გამომწვევი მიზეზები და ერთადვე ვუმკურნალოთ. სხვა გზა ჯოჯოხეთისკენ მიდის. ჩვენი დაპირისპირების მიზეზი, რაც მთავარია, მარტო პოლიტიკაში არ ძევს. ჩვენდა სამარცხვინოთ ჯერ კიდევ კუთხური დაპირისპირების უბედურებაც გვჭირს. და რაც მოხდა, ის უნიადაგოდ არ მომხდარა. ექს-პრეზიდენტმა მოახერხა, როგორც მისმა ბოლშევიკმა წინამორბედებმა, მუშისა და გლეხისათვის ინტელიგენტი შეეძულებინა, სოფლელისათვის ქალაქელი და ერთი კუთხის შვილისათვის მეორე. აი, ამას უნდა შველა პირველ რიგში. თითქოს ყველამ იცის, რომ ჩვენ დედა-საქართველოს შვილები ვართ, რომ მიტევებაა საჭირო, მაგრამ ამის მაგალითი, სამწუხაროდ, ცოტაა. და საუბედუროდ, როცა სასწორის პინებზე იდება თანამდებობა და საქართველო, უმრავლეს შემთხვევაში თანამდებობა და გამორჩენა გადაწონის ხოლმე. აი, ამას უნდა ვეომოთ ჩვენ პირველ რიგში და ვერავი გვაიძულებს ერთმანეთს ვესროლოთ.

— თავისუფალია თუ არა დღეს პრესა და ტელევიზია?

— პრესა და ტელევიზია ერთბაშად თავისუფალი ვერ გახდება. თუნდაც იმიტომ, რომ ამჟამად სამხედრო მდგომარეობაა. მაგრამ აკრძალვის სრულიად მოხსნის შემდეგაც კონიუქტურული აზროვნების ინერცია გაგრძელდება. რადგან თავისუფლად წერას და აზროვნებას სწავლა ჭირდება და მას სრულფასოვნად რეალურად თავისუფალ საქართველოში მცხოვრები მთავრობა შეძლებს. მე მხოლოდ პროფესიული დონის ამაღლებას არ ვგულისხმობ, არამედ გაბედულების სწავლასაც. ჟურნალისტური სიმამაცე ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ძნელი, სახიფათო საქმეა. ჩვენ კი ჯერ-ჯერობით რანი ვართ დემოკრატიის თვალსაზრისით კარგად მოგეხსენებათ.

— ეს მასიური ეკონომიური სიდუხჭირე, როგორ გგონიათ ამ მთავრობის ბრალია თუ სამოცდაათწლიანი ტოტალიტარული რეჟიმის აუცილებელი მემკვიდრეობაა?

— ის სოციალური კონვულსია, რაც ამჟამად ჩვენ გვჭირს, ყველა ქვეყანამ გაიარა. და თუ ჩვენ ამ ავადმყოფობას მოთმინებით გადავიტანთ, მოვრჩებით. ხოლო თუ ამ სოციალურ უბედურებას პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად გამოიყენებენ უპატიოსნო ჯგუფები და ადამიანები, „სიცხე“ კიდევ უფრო აგვიწევს, მერე ბოდვაზე გადავალთ და შეიძლება გარდავიცვალოთ კიდეც. ანდა იმ გლობალური კატაკლიზმებიდან ყველაზე კომპრომისული პირობებით თანამეგობრობის მოჯამაგირეებად დავრჩეთ.

— რას აპირებთ სამომავლოდ — მსახიობობას, [illegible]მისტობას თუ პოლი[illegible], რომელი მიგაჩნიათ თქვენს მოწოდებად?

— მე გულწრფელად მეგონა, რომ საქართველოს განთავისუფლებაში ვმონაწილეობდი, როცა რაღაც-რაღაცეებში გავერკვიე, მივხვდი, რომ მე და ჩემნაირები დიდი გლობალური დრამის გულუბრყვილო მონაწილეები ვიყავით მხოლოდ. არ ვნანობ, იმიტომ, რომ ჩემს წილ საკეთებელს მე ყოველგვარი პოლიტიკური ანგარების გარეშე ვაკეთებდი. რაც შეეხება ჩემს ეპიგრამებს — ეს მელექსის შეხედულებებია პოლიტიკაზე. თუ საქართველო გააგრძელებს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მე მასში მონაწილეობას კვლავაც მივიღებ. ჩემი ძირითადი პროფესია მსახიობობაა და თუ ქვეყანას ჩემი რიგითი ჯარისკაცობა აღარ დაჭირდება, ამ, სიმართლე გითხრათ, მძიმე და ჩემთვის მტანჯველ საქმეში, ისევ ჩემს პროფესიას მივუბრუნდები . ჩემი დევიზი იყო და რჩება:

„რაც უნდა ბევრი დაგიკრან
ტაში
ასწი-დასწიონ ხშირ-ხშირად
ფარდა,
არა ხარ კაცი, თუ არ გაღელ-
ვებს
სხვა სატკივარი როლების გა-
რდა“.

ესაუბრა
ლუკა ვარაზაშვილი

ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?

ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ვინ მენავეა?
იმისი ნავი სად დაცურავს ან სად აბია?
იგი ჩვენს ნავში როდის იჯდა?
და თუკი იჯდა,
თუ გარჯილა და ნავში წყალი თუ უხაპია?

სად იყო მაშინ, როცა ხეზე ავიდა ფითრი?
რად მივაჩნივართ ყველა ბრიყვებად?
ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ის ხომ არ არის,
მისი სიმძიმით ვინც უთუოდ მოიდრიკება?

თუ მატიანის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა,
რა ქნა ისეთი, რომ იმისთვის სხვა რამ მცირეა?
ო, ეკლის გვირგვინს იქნებ იგი ეპოტინება,
ვინც ხალხს ზვარაკად ვერასოდეს შეეწირება?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,
ვინც სხვებს ზევიდან
ისე დაჰყურებს, როგორც თაგუნებს?
ვისაც ჰგონია, რომ საქართველო
მისი რჩეული სიყვარულის ღირსია მხოლოდ
და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?

მამულს თავისი სიყვარული რომ უწყალობა,
ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...
არა ჰყოლია
უფრო ერთგული შვილი მამულს და მას ეკუთვნის
მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია.

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვისი მახვილიც
უგნურება და უმეცრება არის რეგვენთა?
ვისაც ჰგონია, რომ ამაგი არ დაუფასეს
და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა?

სად არის მისი აგებული სვეტიცხოველი?
თაყვანისცემით გაბერილმა პარანოიკმა
გულუბრყვილონი როგორ უნდა დაიმორჩილოს,
რომ განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას?

ო, ნუთუ იგი იმ იმედით დაიარება,
რომ გაჩუმდება და არავინ არაფერს იტყვის?
ვინც არის — მეთქი მხოლოდ სახელს დახარბებული,
ის ხომ არ იდგამს წამებულის ეკლიან გვირგვინს?

ვინ ცდილობს ხალხი შეცდომაში რომ შეიყვანოს?
ვით შეიფერებს ეკლის გვირგვინს თავი სახედრის?

ამ ქვეყანაზე თავის ფუსფუსს,
თავის ღოღიალს,
თავის უბადრუკ არსებობას რატომ გვაყვედრის?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც ქვეყანაზე
დაბადებული არის მლიქვნელად?
საითაც ქარი დაუბერავს, ვინც მხოლოდ იქით
გადაყვლეფილი სინიდისით გადიზნიქება?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც კაცს გულგრილად
გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს?
ო, ეკლის გვირგვინს ვისი ხელი ეპოტინება,
რა უნდა მასთან ანგარებით დაკრუნჩხულ ხელებს?

ო, ვინც განცხრომას ვერასოდეს ვერ შეელევა,
ტანჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით,
ის ხომ არ არის?..
დააკვირდით...
ვის უნდა თავი,
რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?..

ბივი ბებეჭკორი

1979 წელი

ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი